ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 11

“25” იანვარი 2019 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ. N3-ში მდებარე 834.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.05.007.467) და ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ. N3-ში მდებარე 8520.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1, N2, N3, N4 შენობა-ნაგებობების (ს/კ: N01.14.05.007.059) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N18.1177.1645 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ. N3-ში მდებარე (ს/კ:N01.14.05.007.467) 834.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ. N3-ში მდებარე 8520.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1, N2, N3, N4 შენობა-ნაგებობების (ს/კ:N01.14.05.007.059) საპრივატიზებო საფასურის გარეშე, გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, ფიზიკური პირის ვენერა ალიშევას (პ/ნ 033108673) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, თამარაშვილის ქ. N13-ში მდებარე 6451.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (N 01.10.16.004.241) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას საპრივატიზებო პირობად განსაზღვროს: ვენერა ალიშევას (პ/ნ 033108673) მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე (საქმე N3/7010-16) უარის თქმა. თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ ვენერა ალიშევა (პ/ნ 033108673) დათმობს სარჩელში

სადაოდ გამხდარ საკითხთან დაკავშირებით ყველა სახის მოთხოვნას და უფლებას (მათ შორის ზიანის და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე) და პრეტენზია აღარ ექნება მასზე არც ქონებრივი, არც უფლებრივი თვალსაზრისით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 10

"25" იანვარი 2019 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ / ქალაქ თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №6-ში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 821.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობა №3-ის (ფართი 30 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა №8-ის (ფართი 28.89 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა №4-ის (ფართი 69.53 კვ.მ. (მათ შორის სარდაფი 11.46 კვ.მ., I სართულზე 58.07 კვ.მ.)), შენობა-ნაგებობა №5-ის (ფართი 21.01 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა №9-ის (ფართით 3.47 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა №1-ის (ფართი 2.09 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა №7-ის (ფართი 29.37 კვ.მ.) და შენობა-ნაგებობა №6-ის (ფართი 33.81 კვ.მ.) (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.14.07.008.137) პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემისა და შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული დანართის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის" პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ / ქალაქ თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №6-ში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 821.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობა №3-ის (ფართით 30 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №8-ის (ფართით 28.89 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №4-ის (ფართით 69.53 კვ.მ (მათ შორის სარდაფი 11.46 კვ.მ, I სართულზე 58.07 კვ.მ)), შენობა-ნაგებობა №5-ის (ფართით 21.01 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №9-ის (ფართით 3.47 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №1-ის (ფართით 2.09 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №7-ის (ფართით 29.37 კვ.მ) და შენობა-ნაგებობა №6-ის (ფართით 33.81 კვ.მ) (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.14.07.008.137) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და იამზე მაისაიასა (პ/ნ 62001007924) და ნონა ბაქრაძესთან (პ/ნ 01008030050) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის

2018 წლის 26 დეკემბრის №18.1079.1531 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №6-ში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 821.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობა №3-ის (ფართი 30 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №8-ის (ფართი 28.89 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №4-ის (ფართი 69.53 კვ.მ (მათ შორის სარდაფი 11.46 კვ.მ, I სართულზე 58.07 კვ.მ)), შენობა-ნაგებობა №5-ის (ფართი 21.01 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №9-ის (ფართი 3.47 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №1-ის (ფართი 2.09 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №7-ის (ფართი 29.37 კვ.მ) და შენობა-ნაგებობა №6-ის (ფართი 33.81 კვ.მ) (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.14.07.008.137) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 155 000 (ას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 დეკემბრის №18.1079.1531 განკარგულებით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, საპრივატიზებო პირობად განსაზღვროს: იამზე მაისაიას (პ/ნ 62001007924) და ნონა ბაქრაძის (პ/ნ 01008030050) მხრიდან „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ ფულად დახმარებაზე უარის თქმა და აღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ ნებისმიერი მოთხოვნის და უფლების დათმობა.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი

პროექტი

ხელშეკრულება

უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქალაქი თბილისი ---------- .2018 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების მიზანი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ---------- განკარგულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ---------- განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“, მის. ქალაქი თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი ---------- მიერ - პ/ნ: ----------) და მეორეს მხრივ, იამზე მაისაია (პ/ნ 62001007924) და ნონა ბაქრაძე (პ/ნ 01008030050) (შემდგომში „მყიდველები“, ერთობლივად როგორც „მხარეები“), ვაფორმებთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული ფულადი დახმარების დათმობის სანაცვლოდ სააგენტო თანასაკუთრებაში გადასცემს (იამზე მაისაიას (პ/ნ 62001007924) უძრავი ქონების ½ ნაწილს, ხოლო ნონა ბაქრაძეს (პ/ნ 01008030050) უძრავი ქონების ½ ნაწილს), ხოლო „მყიდველები“ - იამზე მაისაია (პ/ნ 62001007924) და ნონა ბაქრაძე (პ/ნ 01008030050) თანასაკუთრებაში იღებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას - ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ / ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №6-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 821. 00 კვ.მ მიწის ნაკვეთს და შენობა-ნაგებობა №3-ს (ფართით 30 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №8-ს (ფართით 28.89 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №4-ს (ფართით 69.53 კვ.მ (მათ შორის სარდაფი 11.46 კვ.მ, I სართულზე 58.07 კვ.მ)), შენობა-ნაგებობა №5-ს (ფართით 21.01 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №9-ს (ფართით 3.47 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №1-ს (ფართით 2.09 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №7-ს (ფართით 29.37 კვ.მ) და შენობა-ნაგებობა №6-ს (ფართით 33.81 კვ.მ) (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.14.07.008.137).
უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №---------- მომზადების თარიღი ----------

მუხლი 3. ინფორმაცია გადასაცემი ქონების შესახებ

სააგენტო ადასტურებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

მუხლი 4. საპრივატიზებო პირობები

4.1 „მყიდველების“ მხრიდან „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ ფულად დახმარებაზე უარის თქმა და აღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ ნებისმიერი მოთხოვნისა და უფლების დათმობა.

4.2 „მყიდველების“ მხრიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის 155 000 (ასორმოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის (ეკვივალენტით ლარში) გადახდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

მიმღები:

სახაზინო კოდი:

დანიშნულება:

მუხლი 5. საკუთრების უფლების გადაცემა

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე თანასაკუთრების უფლება „მყიდველებს“ გადაეცემათ საპრივატიზებო პირობების შესრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი 6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 „მყიდველები“ ვალდებულნი არიან:

6.1.1 შეასრულონ საპრივატიზებო პირობები.

6.1.2 დაფარონ თანასაკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

6.1.3 მათ თანასაკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვან კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

6.2 „სააგენტო“ ვალდებულია, გადასცეს „მყიდველებს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო „მუნიციპალიტეტის ქონება“.

მუხლი 7. მხარეთა განცხადებები

7.1 „სააგენტო“ აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება, არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

7.2 „მხარეები“ აცხადებენ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის.

7.3 „მყიდველები“ ვალდებულნი არიან, შეასრულონ საპრივატიზებო პირობები და დაფარონ საპრივატიზებო ქონების საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

7.4 „მყიდველები“ ვალდებულნი არიან, მათ თანასაკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვან კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

7.5 „მყიდველები“ ამ ხელშეკრულების გაფორმებით უარს აცხადებენ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებით დამტკიცებული წესით

გათვალისწინებულ ფულად დახმარებაზე და ასევე უარს აცხადებენ აღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე ნებისმიერ მოთხოვნასა და უფლებაზე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მუნიციპალიტეტის მიმართ.

7.6 „მყიდველები“ აცხადებენ, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილების შესაბამისად პრეტენზიები არ გააჩნიათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

მუხლი 8. მყიდველის პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მყიდველი“ იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა.

8.2. პირგასამტეხლო განისაზღვრება საპრივატიზებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში – გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:
მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773287
(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

8.4. საპრივატიზებო პირობის დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში „მყიდველი“ იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების გონივრული ვადა.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობა, ასევე დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

8.6 ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ქონების „მყიდველებს“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდებათ გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1 „მხარეები” თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან „ხელშეკრულებით” განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი დარღვევა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით. „ხელშეკრულების” მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება „გამყიდველის“ ან „მყიდველების“ კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის. ასეთი გარემოებები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სტიქიურ უბედურებებს, გაფიცვებს, საბოტაჟს, სამოქალაქო არეულობას, ომს (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი) ან სხვა სამხედრო, ტერორისტულ ან პარტიზანულ მოქმედებებს, ბლოკადას, აჯანყებას, მიწისძვრებს, ზავებს ან სხვა მსგავს მოვლენებს, მათ შორის, სამშენებლო მასალების და აღჭურვილობის გადმოზიდვაში ხელის შეშლას აჯანყების, წარმოების შეფერხების ან რაიმე შემთხვევის გამო, რამაც შეიძლება გააჩეროს ან შეაფერხოს მასალების და აღჭურვილობის გადმოზიდვა საქართველოში და „უძრავი ქონების“ ტერიტორიაზე, რომელიც არ ექვემდებარება იმ „მხარის” კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორს-მაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება ასეთ „მხარეს” არ შეეძლო.

9.2 თუ რომელიმე „მხარე“ ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, იგი ვალდებულია, აცნობოს მეორე „მხარეს“ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის ან

შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) საათისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში „მხარე" კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ასეთი მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ „მხარის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე, ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.
9.3 ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში „მხარეების" მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.
9.4 ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.
9.5 ფორს-მაჟორული გარემოების 1 (ერთი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, „მხარეები" უფლებამოსილნი არიან, განიხილონ „ხელშეკრულების" შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების ან შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.
10.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით, ცალკე ხელშეკრულების გაფორმებით და ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.
10.3 ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს), თითო ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების მხარეებს.
10.4 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
10.5 დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

მუხლი 11. შეტყობინებები

ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად, ან ფაქსის, შეკვეთილი წერილის ან კურიერის მეშვეობით, მხარისათვის ცნობილ მისამართზე ან/და სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით;
სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

იამზე მაისაია (პ/ნ: 62001007924)

ნონა ბაქრაძე (პ/ნ: 01008030050)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 9

"25" იანვარი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა 35-ში არსებული 387 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.07.001.052) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა N35-ში არსებული 387 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.07.001.052) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 დეკემბრის №18.1099.1567 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა N35-ში არსებული 387 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.07.001.052) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით - 2 200 (ორი ათას ორასი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, ბესიკ ჭუმბურიძესთან (პ/ნ: 01026007893) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას საპრივატიზებო პირობად განსაზღვროს: გლდანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 11 იანვრის N15 გადაწყვეტილებით ბესიკ ჭუმბურიძისთვის გამოყოფილი უძრავი ქონების (ნაკვეთი N36) მის საკუთრებად რეგისტრაციის მოთხოვნაზე უარის თქმა. თბილისის მუნიციპალიტეტის

სასარგებლოდ ბესიკ ჭუმბურიძე (პ/ნ: 01026007893) დათმობს აღნიშნულ უძრავ ქონებაზე ყველა სახის მოთხოვნას და უფლებას და პრეტენზია აღარ ექნება მასზე არც ქონებრივი, არც უფლებრივი თვალსაზრისით

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 8

25 იანვარი
"___" _____ 2019 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ. მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.015) შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის" (ს/კ: 405190742) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის №170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 127^2 მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადო ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეტანილი იქნას ცვლილება „ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ. მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.015) შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის" (ს/კ: 405190742) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის №170 განკარგულებაში:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.015) 56 კვ. მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის" (ს/კ: 405190742) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე"

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 173 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.05.075.015) 56 კვ. მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის" (ს/ნ: 405190742) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის

2018 წლის 4 ივლისის №18.492.792 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 173 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.015) 56 კვ. მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის“ (ს/კ: 405190742) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ. მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.015) შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის“ (ს/კ: 405190742) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის N18.492.792 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 დეკემბრის N18.1138.1511 განკარგულებისა და მისი დანართი 2-ით განსაზღვრული საიჯარო პირობების შესაბამისად.“

გ) განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 6 800 (ექვსი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.“

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 7

"25" იანვარი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში (ნაკვეთი N11/22); ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანი (ნაკვეთი N11/17) 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.08.011.173) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა." ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ,,ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში (ნაკვეთი N11/22); ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანი (ნაკვეთი N11/17) 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.08.011.173) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 დეკემბრის №18.1070.1554 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში (ნაკვეთი N11/22); ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანი (ნაკვეთი N11/17) 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.08.011.173) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, ირინე ჟვანიასთან (პ/ნ: 01019009683) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას საპრივატიზებო პირობად განსაზღვროს: ირინე ჟვანიას მხრიდან №01.20.01.117.002 საკადასტრო კოდზე საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნაზე უარის თქმა თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ. ამავდროულად ირინე ჟვანია დათმობს აღნიშნულ უძრავ ქონებაზე

(ს/კ:№01.20.01.117.002) ყველა სახის მოთხოვნას, უფლებას და პრეტენზია აღარ ექნება მასზე როგორც მატერიალური ასევე არამატერიალური თვალსაზრისით

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 6

25 იანვარი
"___" _____ 2019 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მარუაშვილის ქუჩა N50-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.014.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, მარუაშვილის ქუჩა N50-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.014.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის №18.1038.1472 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 5

"25" იანვარი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N189-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.023.053.01.526) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N189-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.023.053.01.526) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის №18.1035.1461 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N189-ში, მეორე სართულზე არსებული 30.40 კვ.მ უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.13.07.023.053.01.526) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად -1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ნათელა წულუკიძისთვის (პ/ნ N54001003405) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 4

25 იანვარი
"___"_____ 2019 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების VII მიკრორაიონის კორპუსი N10ა-ში, პირველ სართულზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.021.04.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების VII მიკრორაიონის კორპუს N10ა-ში, პირველ სართულზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.021.04.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის №18.1040.1457 განკარგულებით გათვალისწინებლი უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების VII მიკრორაიონის კორპუს N10ა-ში, პირველ სართულზე არსებული 35,52 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.021.04.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ანა ფოცხვერაშვილისთვის (პ/ნ №01001035118) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 3

“25” იანვარი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების IV კვარტლის კორპუსი N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.004.02.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, “ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების IV კვარტალის კორპუსი N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.004.02.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის № 18.1036.1460 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების, ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების IV კვარტლის კორპუსი № 2ა-ში, სართული 1, ბინა № 35, ფართით 81.25 კვ.მ მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: № 01.19.27.007.004.02.035) მოქალაქე იამზე გვიდიანისთვის (პ/ნ № 01028001959) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე ზემოაღნიშნული განკარგულების დანართის სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 2

“25” იანვარი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტალის კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, “ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტალის კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.016) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის №18.1037.1459 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: “ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტალის კორპუსი N5-ში, ბინა N16-ის ფართით 16 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.016) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ნარგიზი უზნაძისთვის (პ/ნ N01005020015) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 1

25 იანვარი
"___" _____ 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კომპლექსი 1, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.35.005.010.01.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კომპლექსი 1, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.35.005.010.01.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის N18.1039.1458 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე კომპლექსი 1, კორპუსი N3-ში ბინა N11-ისა და სარდაფის, საერთო ფართით 45.00 კვ.მ. (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.19.35.005.010.01.011) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ლელა ბუხრაშვილისთვის (პ/ნ N01015018016) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე